შპს„ნატახტარი 2012“-ის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს შპს ნატახტარი 2012“

	გვერდი
სარჩევი	2
შ.პ.ს. „ნატახტარი2012“-ს საქმიანობისა და მართვის პროცესის ზოგადი მიმოხილვა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	5

ფინანსურ ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები:

1. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის მიმოხილვა	7
2. ძირითადი საშუალებები	8
3. ცვეთა	8
4. ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა	8
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	9
6. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	9
7. ხარჯების აღიარება	9
8. იჯარა	10
9. მოგების გადასახადი	10
10. ფინანსური ინსტრუმენტები	11
11. საწესდებო კაპიტალი	11
12. დივიდენდი	11
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
14. ფულადი სახსრების აღრიცხვა	12
15. ფინანსური რისკების მართვა	12
16. კაპიტალის რისკი	12
17. საპროცენტო რისკი	13
18. დაზღვევა	13
19. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები	14

NATAKHTARI 2012

შ.პ.ს. „ნატახტარი2012“-ს საქმიანობისა და მართვის პროცესის ზოგადი მიმოხილვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნატახტარი 2012“ (შემდგომში კომპანია) ფუნქციონირებს 2011 წლის 14 დეკემბერიდან, საიდენტიფიკაციო კოდი 404921983, მარეგისტრერიბელი ორგანო-თბილისის საგადასახადო ინსპექცია. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია ზურაბ კოპაძე. დირექტორი ლევან ლორია.

კომპანია ახორციელებს ლუდის და უალკოჰოლო სასმელების მიწოდება-დისტრიბუციას ქვემო ქართლის მაშტაბით.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, საირმის ქ. 12. ბინა 9

ფაქტიური მისამართი: რუსთავი, 18 მ/რ, აღმაშენებლის გამზ. მ/ტ

ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს დისტრიბუცია. კომპანიის ვალდებულებაა შპს „ლომისის“ მიერ წარმოებული ლუდისა და ლიმონათის მიწოდება მომხმარებლისათვის. ასევე მან უნდა დაამყაროს მყიდველებთან სტაბილური ურთიერთობა, რაც უნდა აისახოს პროდუქციის სწრაფ და უწყვეტ მიწოდებაზე. კომპანიის წილი ბაზარზე დაახლოებით 40 პროცენტამდეა, რაც განპირობებულია მაღალი კონკურენტული გარემოს არსებობით.

ქვეყანაში არსებული არასტაბილური სიტუაცია, რაც გამოიხატება ვალუტის კურსის ცვლილებასა და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებაში, სერიოზულ გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციაზე და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

პროდუქციის ფასებს აწესებს შპს “ლომისი“, მისივე წარმომადგენლები იღებენ შეკვეთებს, რომელიც მიეწოდება შპს „ნატახტარი2012“-ს , რომელიც ვალდებულია აღნიშნული შეკვეთები მიაწოდოს მყიდველს. კომპანია ვერ განახორციელებს მნიშვნელოვან ცვლილებებს შპს „ლომისის“ გვერდის ავლით. ყველა საკითხი პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებული შეთანხმებულია მომწოდებელთან.

კომპანიას არ აქვს ფილიალები. ჰყავს საშუალოდ 30 თანამშრომელი. თანამშრომლებთან ურთიერთობის საკითხები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. დაცულია შრომის უსაფრთხოების პირობები. თითოეული თანამშრომელი სარგებლობს შრომის კოდექსით გათვალისწინებული პირობებით.

შპს „ნატახტარი 2012“ -ის დირექტორი: ლევან ლორია.
21.09.2019.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	110,467	120,694
სავაჭრო მოთხოვნები	213,962	202,309
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		18,800
მარაგები	49,728	54,555
- მზა პროდუქცია	48,321	27,619
- სხვა	1,407	26,936
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		-
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	326,812	173,915
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	700,969	570,273
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	161,954	221,443
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	5,975	11,975
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	17,075	15,320
საგადასახადო ვალდებულებები	6,848	12,460
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	117,147	119,634
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	308,999	380,832
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	327,268	118,857
გადაფასების რეზერვი	64,702	70,584
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	391,970	189,441
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	700,969	570,273

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	8,462,548
საქონლის გაყიდვიდან	8,452,951
მომსახურების გაწევიდან	7,448
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	2,149
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7,792,258)
საწყისი მარაგები	54,555
მარაგების შესყიდვა	7,787,431
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	49,728
საერთო მოგება	670,290
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(325,200)
ცვეთა და ამორტიზაცია	(20,349)
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	(16,624)
იჯარის ხარჯი	(14,725)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(84,920)
სულ საოპერაციო ხარჯები	(461,818)
საოპერაციო მოგება	208,472

NATAKHTARI 2012 404921983 GEORGIA "NATAKHTARI 2012" LTD

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობ	208,472.00
მოგების გადასახადი	60
მოგება/(ზარალი)	208,412
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივე	(5,882)
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	202,530
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	189,440
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	202,530
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	391,970

NATAKHTARI 2012
404921983

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს). მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე; ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს შესაბამისობას;

საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად ჯგუფისა და განყოფილებს დაცვით ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერში". საწარმო მიეკუთვნება მესამე კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნის და აღიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს მცირე და საშალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან.

საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს აძლევს მიმდინარე და გრძელვადიან კვალიფიკაციას. აქტივი მიმდინარეა როდესაც მისი გაყიდვა ან მოხმარება ხდება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში -საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, სხვა შემთხვევაში აქტივი არის გრძელვადიანი.

ვალდებულება მიმდინარეა, როცა ხდება დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში, ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, დანარჩენ შემთხვევაში ვალდებულება გრძელვადიანია.

უცხოურ ვალუტაში აღრიცხული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ეროვნულ ვალუტში და პერიოდის ბოლოს დგება მათი გადაყვანა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ გაცვლით კურსზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 23 სექტემბერს.

NATAKHTARI 2012
404921983
GEORGIA, "NATAKHTARI 2012" LTD

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება - ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება თვითღირებულებით. . თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე ჯგუფში (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა). იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ნაშთები საბალანსო ღირებულებით:

შენობა-ნაგებობა	95000
მანქანა დანადგარები	1023
ავტომანქანები	204564
კავშირგაბმულობის საშუალებები	9166
კომპ.ტექნიკა და აპარატურა	1975
იჯართ აღებული ქონების კეთილმოწყობა	12628
მცირეფასიანი ინვენტარი	2456
სულ ძირითადი საშუალებები	326812

ცვეთა

საწარმომ აქთივის ცვეთადი ღირებულება უნდა გადაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისისასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში

ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისათვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადები წარმოდგენილია შემდეგი საახით:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:	
შენობა-ნაგებობა	50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭირ-ოებისამებრ.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღი-რებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

NATAKHTARI 2012 404921983 GEORGIA "NATAKHTARI 2012" LTD

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ასახავს უწყვეტი აღრიცხვის საშუალებით, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის. სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შეძენის და მათ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს. ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი საქონელი ნადგურდება აქტით სპეციალური სამსახურის მიერ.

სასაქონლო მარაგების ნაშთი 31.12.2018-სთვის

შპს „ლომისის მიერ მოწოდებული სარეალიზაციო პროდუქცია	48321
საწვავის ნაშთი	1407
სულ მარაგები	49728

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან:

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულებით, რომელშიც არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები. შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმომ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი.შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება. შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით.

2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი ლუდსა და ლიმონათის გაყიდვიდან შეადგენს ლარს 8458951, იჯარიდან 7448 ლარს, ხლო არასაოპერაციო შემოსავლები 2149 ლარს.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმიან წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და შესაძლებელია კავშირი შემოსავალთან მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალის ანგარშგებაში ხარჯების აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

NATAKHTARI 2012

2018 წლისთვის კომპანიის მიერ გაწეული ხარჯები:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7792258
დასაქმებულთა ანაზღაურება	325200
ცვეთა და ამორტიზაცია	20349
საპროცენტო ხარჯი	16624
იჯარის ხარჯი	14725
სხვა ხარჯების გაშიფვრა	
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	4288
საკანცელარიო	2951
კომუნიკაცია	1790
კომპიუტერი	1258
ქონების გადასახადი	2503
დაზღვევა	7582
ბანკის საკომისიო და საგარანტიოს საკომისიო	6189
წარმომადგენლობითი	1294
მანქანის რემონტი	50981
კომუნალური	5744
სხვა	340
სულ სხვა ხარჯები	84920

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საწარმოს იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად.

მოგების გადასახადი

კომპანია სარგებლობს მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელით, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის პირველ იანვარს. მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების განაწილებას 15%იანი გადასახადით. 2017 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად , რჩებოდა თუ დივიდენდის სახით გაიცემოდა.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთოვნების შესაბამისად.
ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე. ფინასური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები: ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტო-რული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების,გრძელვადიანი პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშ გების თარიღისათვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომე-ლთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასტან დაკავშირებული მნი- შვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

ფინასური აქტივების გაუფასურება
საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გა-უფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტი-ვის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ("ზარალის დადგომის შემთხვევა"), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშა-ნი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინასურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახისფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა. საწარმო ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსე ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი გადაცემული ან რეალიზებულია საწარმოსათვის.

კაპიტალი
საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელი მოგებას.

დივიდენდი
დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

NATAKHTARI 2012
404921983

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში იგულისხმება მომწოდებლებისათვის გადასახდელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი წლის დასასრულს. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება წარმოადგენს დივიდენდის გაცემისას გადასახდელ მოგების გადასახადს, რომლის გაცემაც დაგეგმილია შესაბამის მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

ფულადი სახსრების აღრიცხვა საწარმოში ოპერაციები ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.

ფინანსური რისკების მართვა
კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.
საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის' ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.
საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში. საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას. ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსურიინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსისცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საქართველო. შპს "ნატახტარი 2012" * NATAKHTARI 2012 * 404921983 GEORGIA. "NATAKHTARI 2012" LTD

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა. ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრდიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებებისაქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისისაკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიცხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფროარსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურადასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედისაგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	110,467	120,694
სავაჭრო მოთხოვნები	213,962	202,309
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		18,800
მარაგები	49,728	54,555
- მზა პროდუქცია	48,321	27,619
- სხვა	1,407	26,936
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		-
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	326,812	173,915
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	700,969	570,273
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	161,954	221,443
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	5,975	11,975
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	17,075	15,320
საგადასახადო ვალდებულებები	6,848	12,460
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	117,147	119,634
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	308,999	380,832
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	327,268	118,857
გადაფასების რეზერვი	64,702	70,584
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	391,970	189,441
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	700,969	570,273

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	8,462,548
საქონლის გაყიდვიდან	8,452,951
მომსახურების გაწევიდან	7,448
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	2,149
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7,792,258)
საწყისი მარაგები	54,555
მარაგების შესყიდვა	7,787,431
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	49,728
საერთო მოგება	670,290
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(325,200)
ცვეთა და ამორტიზაცია	(20,349)
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	(16,624)
იჯარის ხარჯი	(14,725)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(84,920)
სულ საოპერაციო ხარჯები	(461,818)
საოპერაციო მოგება	208,472

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობ	208,472.00
მოგების გადასახადი	60
მოგება/(ზარალი)	208,412
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივე	(5,882)
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	202,530
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	189,440
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	202,530
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	391,970